



Capitol Hospitality Products & Services

CAPITOL HPS

Capitol HPS არის „კაპიტოლ ჯგუფის“ წევრი, რომელიც სხვადასხვა სფეროში მოღვაწე კომპანიებს აერთიანებს. „კაპიტოლ ჯგუფი“ 2014 წელს დაარსდა და 2006-2013 წლებში ყაზახური კერძო ინვესტიციების მოზიდვის შედეგად დაფუძნებული კომპანიები გააერთიანა. სტუმართმოყვარეობის ბიზნესში ჯგუფი აქტიურად ჩაერთო 2013 წლიდან. ამ ხნის განმავლობაში კომპანიამ მრავალი პარტნიორი შეიძინა ამ სფეროში. 2016-2022 წლებში Capitol HPS გეგმავს განახორციელოს პროექტი: „12 სასტუმრო 12 რეგიონში“, რაც რეგიონალური სასტუმროების ქსელის შექმნასა და განვითარებას გულისხმობს. აღნიშნული სასტუმროები მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი სასტუმროების ქსელის - „Best Western Hotels & Resorts“-ის ბრენდის ქვეშ გაერთიანდება, რომლის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში არის Capitol HPS.

Capitol HPS-ის ძირითადი ამოცანაა, მაქსიმალურად შეუწყოს ხელი BestWestern-ის ქსელის გაფართოებასა და სტუმართმოყვარეობის სფეროში ხარისხიანი მომსახურების დანერგვას ქვეყნის მასშტაბით. Capitol HPS ეძიებს Best Western Hotels & Resorts ბრენდის სახელის გამოყენების უფლებით დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. კომპანია უზრუნველყოფს მათ გადამოწმებას ბრენდის მოთხოვნებთან მიმართებაში და შესაბამისობის შემთხვევაში, გასცემს რეკომენდაციას „Best Western Hotels & Resorts“-ის სახელის გამოყენების უფლებაზე. ამასთან, ჩვენი კომპანია ეხმარება დაინტერესებულ პირებს ორმხრივი ხელშეკრულების პირობებზე მოლაპარაკებაში, მის მომზადებასა და საბოლოოდ გაფორმების ორგანიზებაში.



Capitol HPS საქართველოში
ტურიზმისა და
სტუმართმოყვარეობის
ინდუსტრიაში ინვესტირებით
დაინტერესებულ კომპანიებს
გაუწევს დახმარებასა და
შუამავლობას შემდეგი
სერვისების შექმნისას:

1

სასტუმროს მომსახურე პერსონალის შერჩევა, ტრენინგი, უშუალოდ მართვის პროცესის ორგანიზება და წარმართვა

2

სასტუმროების, კვების ობიექტებისა და სხვა სახის საზოგადოებრივი თავშეყრის დაწესებულებებისათვის კვალიფიციური მომსახურე პერსონალის მომზადება და გადამზადება;

3

ინვესტიციების მოძიება საინტერესო პროექტებისთვის

4

ნებისმიერი სახის საშუამავლო და საკონსულტაციო მომსახურება ტურიზმის სფეროსთან და სასტუმროების ბიზნესთან დაკავშირებულ საკითხებზე

5

პროფილურ საერთაშორისო ღონისძიებებზე(გამოფენები, სიმპოზიუმები, ფესტივალები და ა.შ) დასწრების ორგანიზება;

6

სასტუმროს მშენებლობისთვის საინტერესო რეგიონის შერჩევა, მიწის მოძიება, შესყიდვა, კონცეფციის შემუშავება, ფინანსური მოდელის ჩამოყალიბება და დამკვეთის სურვილის შემთხვევაში, პროექტის სრული წარმართვა-განვითარება (პროექტირება, პროექტის დამტკიცება და მშენებლობის ნებართვის აღება, მშენებელი კომპანიის შერჩევა, მშენებლობის პროცესის ზედამხედველობა და გრაფიკების კონტროლი);

7

სასტუმროების, რესტორნებისა და სხვა სახის ტურისტული ინფრასტრუქტურის აღჭურვისათვის/შევსებისათვის საჭირო ხარისხიანი პროდუქციის(სხვადასხვა სახის მოწყობილობები, ტექნიკა და აპარატურა, ავეჯი, ჭურჭელი, ჰიგიენური დანიშნულების პროდუქცია და ა.შ) შერჩევა და შექმნა.

ჩვენი კომპანიის სპეციფიკიდან გამომდინარე, (წარმომადგენლობა, შუამავლობა და კონსულტაციები), ჩვენ ვთანამშრომლობთ სხვადასხვა პროფილის კომპანიებთან შემდეგი სქემით: ვაფორმებთ ხელშეკრულებას წარმომადგენლობის შესახებ და გარკვეული საკომისიო თანხის სანაცვლოდ ვეხმარებით მათ პროდუქციისა და სერვისების რეალიზაციაში საქართველოს ტერიტორიაზე.

ჩვენთან თანამშრომლობის სურვილის შემთხვევაში, დაგვირეკეთ ან მოგვწერეთ პრეზენტაციაში მითითებულ საკონტაქტო-სატელეფონო ნომრებზე ან ელექტრონულ ფოსტაზე და შემოგვთავაზეთ თქვენი პროდუქცია ან სერვისები, ჩვენ კი თავს არ დავზღვავთ, რათა დაგეხმაროთ მათ რეალიზებაში თქვენთვის საინტერესო პირობებით.

www.capitolhps.com

გონა ჯაიანი
დირექტორი
gjaiani@capitol.ge
შპს. „კაპიტოლ ეივ ჰი ეს“
ვაჟა-ფშაველას 70ბ, მე-2 სართული
თბილისი, საქართველო